47

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 30/00 „24" თებერვალი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„24" თებერვალი" 2011 წელი

ეგზ. N2

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტის ანგარიში

(01/01/2010-01/01/2011)

სარჩევი

აუდიტის ანგარიში 2

ფინანსური ანგარიშგებები

სამინისტროს ბიუჯეტის ასიგნებები 4

საბალანსე ანგარიშები 5

წმინდა ღირებულების ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებები

1. ძირითადი საქმიანობა 8

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები 8

3. ფინანსური ანგარიშგებისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი სისუსტეები 9

4. საბალანსო ანგარიშგება 11

4.1. დებიტორული დავალიანება 11

4.2. ძირითადი საშუალებები 13

5. წმინდა ღირებულება 15

5.1 დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტიდან 15

5.2. გრანტები 16

5.3. სხვადასხვა ხარჯი 16

6. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 18

აუდიტის ანგარიში

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციები; ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციები, წმინდა ღირებულება, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მათ სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინასური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოაგდენს საპილოტე პროექტს, რაც საქართველოს კონტროლის პალატას არ აკისრებს აუდიტის დასკვნის წარდგენის ვალდებულებას.

საპილოტე პროექტის მიზანია საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის ჯგუფის პროფესიული შესაძლებლობის ზრდა, რომ აუდიტი ჩატარდეს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სტანდარტები მოითხოვს, რომ საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორული საქმიანობა შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტი დაიგეგმოს და წარიმართოს იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

თუმცა, საპილოტე პროექტის ფარგლებში, საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთქმული აუდიტის დასკვნა წარმოადგენს საპილოტე პროექტის ფარგლებში განხორციელებული აუდიტორული პროცედურების შედეგს.

აუდიტის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის ჯგუფმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინასური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული დასკვის გამოსატანად ვერ მიიღო საკმარისი და სათანადო რწმუნება რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, შემდეგი შეზღუდვების გამო:

- სამინისტროს მიერ მიღებული გრანტები 22,642.76 ათასი ლარის ოდენობით არ დარეგისტრირებულა ფინანსთა სამინისტროში;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფინანსდება მოსწავლეთა არასრული სიების მიხედვით - 343,092.08 ათასი ლარის ოდენობით;
- ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა - 501,723.61 ათასი ლარის ოდენობით.

სამინისტროს 2010 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

2010 წელი

(ათას ლარებში)

	შენიშვნა	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი
შრომის ანაზღაურება		10,312	10,252	10,252
საქონელი და მომსახურება		39,592	37,598	36,027
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			14,385	13,751
მივლინება		-	2,208	2,068
რბილი ინვენტარი და უნიფორმა		-		
ოფისის ხარჯები		-	4,865	4,554
კვების ხარჯები			15	13
წარმომადგენლობითი ხარჯები		-	321	296
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლ. და მოვლა-შენახვა		-	848	774
რბილი ინვენტარის, უნიფორმებისა და პირადი ჰიგიენის		-	703	516
სხვა დანარჩენი საქონელის და მომსახურება		-	14,253	14,054
სხვა		-		
სუბსიდიები		40,771	39,664	40,662
გრანტი		129	108	103
სოციალური უზრუნველყოფა		2,321	2,285	2,321
სხვა ხარჯები		413,332	410,788	396,118
ვალდებულებები		875	872	
არაფინანსური აქტივების ზრდა		43,092	36,433	18,719
სულ გადასახდელები		550,424	537,999	504,201

საბალანსე ანგარიშები

31 დეკემბერი 2010 წელი

(ათას ლარებში)

	შენიშვნა	31/12/2010	31/12/2009
აქტივები			
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები		36,098	34,072
დებიტორული დავალიანებები	4.1	57,104	53,404
სხვა ფინანსური აქტივები		178	138
სულ ფინანსური აქტივები		93,380	87,613
არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები		357,872	313,977
მანქანა დანადგარები და მოწყობილობები		60,482	61,352
სხვა ძირითადი აქტივები		83,370	63,253
არაწარმოებული აქტივები	4.2	263,257	251,961
სხვა მატერიალური მარაგები		18,742	21,788
სულ არაფინანსური აქტივები		783,723	712,332
სულ აქტივები		877,103	799,945
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანებები		12,155	12,897
საგადასახადო ვალდებულებები		467	1,768
სხვა ვალდებულებები		1,714	1,464
სულ ვალდებულებები		14,336	16,130
კაპიტალი		862,767	783,815
სულ კაპიტალი		862,767	783,815
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		877,103	799,945

წმინდა ღირებულების ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

	შენიშვნა	
სულ კაპიტალი - 31/12/2009		**731,399.89**
ზრდა:		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	5.1	537,999
არასაბიჯეტო შემოსავლები/(ხარჯები)		26,197
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივები		53,605
უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგები		4,562
უსასყიდლოდ მიღებული არაწარმოებული აქტივები		17,442
გრანტის შემოსავლები	5.2	22,643
სხვა შემოსავლები		23,886
სულ კაპიტალის ზრდა		**1,417,733**
შემცირება:		
ხარჯები	5.3	525,025
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადიაქტივები		21,017
სხვა ეკონომიკური ნაკადები		72,436
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		603
სულ კაპიტალის შემცირება		**619,082**
სულ კაპიტალი - 31/12/2010		**798,652**

შესავალი

აუდიტის საფუძველი	საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N5/43 ბრძანება 2011 წლის 15 აპრილის N30/43 ბრძანება
აუდიტის ვადა	2011 წლის 10 თებერვლიდან 2011 წლის 1 ივნისამდე

შემოკლებანი

სამინისტრო	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ	-	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეკონომიკის სამინისტრო	-	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ფინანსთა სამინისტრო	-	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
ISSAI	-	უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტები

1. ძირითადი საქმიანობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ფუნქციონირებს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნების შესაბამისად. სამინისტროს დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისთვის.

სამინისტრო არის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო საქართველოს განათლების და მეცნიერების სფეროში. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იგი ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას, მეცნიერების განვითარებას, სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელებასა და სხვ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

სამინისტროს მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 და 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ".

3. ფინანსური ანგარიშგებისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი სისუსტეები

3.1. განათლების სამინისტროს ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყოველკვარტლურად წარედგინება ფინანსთა სამინისტროს. აღნიშნული ფორმების შევსების ინსტრუქცია 2008 წელს შეიცვალა, რომლის შესწავლა მოხდა მხოლოდ ადგილობრივი ტრენინგის საფუძველზე, ხოლო შევსების ინსტრუქცია არ იქნა გაწერილი. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარედგინება ფინანსთა სამინისტროს, ივსება შემსრულებლის სუბიექტური შეხედულების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოება ზრდის ფინანსთა სამინისტროში ნაერთი ანგარიშგების არასწორად წარდგენის ალბათობას.

3.2. სამინისტრო ნაერთ ბალანსს ადგენს მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ბალანსების მექანიკურად დაჯამებით. სამინისტროში არ მოწმდება ორგანიზაციებიდან მიღებული ანგარიშგებების სისწორე.

აღნიშნული გარემოება ზრდის სამინისტროების ნაერთ ანგარიშგებაში შეცდომების ალბათობას.

3.3. 2010 წლის 26 მარტის საქართველოს საკანონმდებლო[1] ცვლილების შედეგად სამინისტროს სტურქტურაში გაუქმდა გენერალური ინსპექცია და შეიქმნა შიდა აუდიტის დეპარტამენტი.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი შედგება ორი სამმართველოსგან: შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამმართველოებისგან. აუდიტის პროექტის განხორციელებაში მონაწილეობს ორივე სამმართველო: ინსპექტირების სამმართველო - იურიდიულ საკითხებში და შიდა აუდიტის სამმართველო - ფინანსურ საკითხებში.

2010 წლის განმავლობაში აღნიშნული სამმართველოების მიერ განხორციელებულია 6 თემატური, 11 ინსპექტირება და 59 კამერალური აუდიტი. აღნიშნული აუდიტებიდან 85% წარმოადგენს სკოლების აუდიტს (65 სკოლა), რომლის ძირითადი შემოწმების სფეროა მიღებული კონტინგენტისა და სასწავლო კლასების დაკომპლექტება, სასწავლო გეგმის შემუშავება, დამტკიცება და შესრულება, თვითმმართველი ერთეულების მიერ თავის უფლებამოვალეობათა განხორციელება, სალარო მეურნეობის წარმოება, მატერიალურ-ფასეულობათა მოვლა-პატრონობა და ა.შ.

შიდა აუდიტის გეგმის მიხედვით განისაზღვრება მხოლოდ ობიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით. ხოლო აუდიტის ობიექტების შერჩევა ხდება მიღებული განცხადებების საფუძველზე. შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას ძირითადად განიხილება ის საკითხები რომელიც მოცემულია მიღებულ განცხადებებში. სამინისტროში შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და აუდიტის პროცედურები გაწერილი არ არის.

[1] „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" 2010 წლის 26 მარტის საქართველოს კანონის საკანონმდებლო ცვლილება

შიდა აუდიტის მუშაობა დეტალურად გაწერილი პრფოცედურების გარეშე იწვევს სამინისტროს შიდა კონტროლების არასწორად განსაზღვრას, რაც იმთავითვე ამცირებს კონტროლების ეფექტიანობის ხარისხს.

4. საბალანსო ანგარიშგება

4.1. დებიტორული დავალიანება

პროგრამა „ცოდნის კარი"

პროგრამა „ცოდნის კარის" დებიტორული დავალიანება ასახავს იმ პირთათვის გადარიცხულ თანხებს, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლების დაფინანსების მიზნით, კონკურსის წესით შეირჩნენ, რამაც ჯამში 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 5,145.406 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში არ ხორციელდება აღნიშნული დებიტორული დავალიანების მონიტორინგი.

წლის ბოლოს დებიტორული ნაშთი ასახავს იმ პირთა სასარგებლოდ გადახდილ თანხებს, რომლებმაც საგრანტო ხელშეკრულების ვადა უკვე ამოწურეს და დაასრულეს პროგრამაში მონაწილეობა. ვადის გასვლის გამო, სწავლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, **603.976 ათასი** ლარის დებიტორული დავალიანება ექვემდებარება ხარჯებში ჩამოწერას.

„ცოდნის კარის" პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ნიჭიერი, გამორჩეული უნარ-ჩვევებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირები, რომელთა შერჩევის კრიტერიუმები განსაზღვრული არ არის.

„ევროპული და ევროატლანტიკური პროგრამა"

„ევროპული და ევროატლანტიკური პროგრამის" ფარგლებში 2009 წელს ამერიკის შეერთებულ შტატების წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო კვალიფიკაციის მისაღებად დაფინანსდა 6 სტუდენტის სწავლება, რისთვისაც საერთაშორისო ორგანიზაციას - „ღია საზოგადოების ინსტიტუტს" შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაერიცხა 150,0 ათასი ამერიკული დოლარი. ამავე ხელშეკრულების მიხედვით, სწავლის დასრულების შემდეგ, „თანხის გამცემსა" და „თანხის მიმღებს" შორის უნდა გაფორმებულიყო შედარების აქტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სტუდენტების ნაწილმა (ოთხმა სტუდენტმა) დაამთავრეს სწავლა და გამოცხადდნენ სამინისტროში 2010 წლის 1 სექტემბრამდე[2]. აღნიშნულ პერიოდისთვის სამინისტროსა და „ღია საზოგადოების ინსტიტუტს" შორის არ გაფორმებულა შედარების აქტი, შესაბამისად დებიტორული დავალიანება სწავლადამთავრებულ სტუდენტთა მიმართ არ ჩამოწერილა.

ასევე, ხელშეკრულებით[3] განსაზღვრული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, სულ პროგრამის ღირებულება წარმოადგენდა 137.077 ა.შ.შ. დოლარს, ხოლო დარჩენილი

---

[2] აღნიშნულს ითვალისწინებდა სამინისტროსა და სტუდენტებს შორის გაფორმებული სტანდარტული ხელშეკრულებები.

[3] სამინისტროსა და „ღია საზოგადოების ინსტიტუტს" შორის 2005 წლის 28 ნოემბრის ხელშეკრულება.

თანხა უნდა მოხმარებოდა გრანტის მიმღების მონაწილეობას სხვადასხვა სემინარებში. სემინარებზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტები არ იქნა წარმოდგენილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატი

სამინისტროსა და შ.პ.ს. ,,ინჟმშენი 2005"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (№09-08/3) შ.პ.ს. ინჟმშენმა წინასწარ მიიღო 302,4 ათასი ლარი, ქ. ქობულეთში მდებარე პროფესიული სწავლების ცენტრის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განსახორციელებლად.

შ.პ.ს. „ინჟმშენი 2005"-მა სამინისტროში წარმოადგინა სადაზღვევო კომპანია შ.პ.ს. „ვესტის" მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია - 38.0 ათასი ლარი და საბანკო/საავანსო გარანტია - 302.4 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2010 წლის 15 დეკემბერი.

შ.პ.ს. „ინჟმშენი 2005"-მა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რის გამოც შემსყიდველმა შეწყვიტა აღნიშნული ხელშეკრულება 2010 წლის 1 დეკემბერს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო შ.პ.ს. სადაზღვევო კომპანია ,,ვესტისგან" ითხოვს გაცემული საბანკო გარანტიების თანხების ბიუჯეტში გადარიცხვას:

1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 38.0 ათასი ლარი;
2. საბანკო/საავანსო თანხიდან - 292.1 ათასი ლარს (ვინაიდან 302.4 ათას ლარს აკლდება ფაქტიური შესრულება - 10.3 ათასი ლარი).

იმის გამო, რომ შ.პ.ს. „ინჟმშენი 2005"-მა საგარანტიო მომსახურების თანხა დროულად არ გადაურიცხა სადაზღვევო კომპანიას, შპს „ვესტი" უარს აცხადებს საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე. საკითხი განიხილება სასამართლოში.

2010 წლის ბოლოს, ბალანსის მიხედვით, დებიტორული დავალიანება შ.პ.ს. „ინჟმშენი 2005"-ს მიმართ წარმოადგენდა 302.4 ათასი ლარს, ნაცლად 292.1 ათასი ლარისა. ხოლო დებიტორული დავალიანება სადაზღვევო კომპანია „ვესტის" მიმართ, 38.0 ათასი ლარის ოდენობით, საერთოდ არ არის ასახული.

გამოცდების ეროვნული ცენტრი

2010 წლის ბოლოს გამოცდების ეროვნული ცენტრის დებიტორული დავალიანება საგადასახადო სამსახურის მიმართ წარმოადგენდა 712,579 ლარს. საგადასახადო შედარების აქტის საფუძველზე 91,715 ლარი ზედმეტად არის ასახული.

4.2. ძირითადი საშუალებები

ინვენტარიზაცია

განათლების სამინისტროს 2008 წლიდან არ განუხორციელებია ბალანსზე ასახული აქტივების ინვენტარიზაცია[4]. შესაბამისად ვერ დასტურდება სამინისტროს ბალანსზე ასახული ძირითადი საშუალებების არსებობა.

საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამები

2010 წელს განხორციელდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეორგანიზაცია - უმაღლეს სასწავლებლებთან შეერთება, რამაც გამოიწვია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ძირითადი საშუალებების ნაშთის 37,469,572 ლარით ჯამურად შემცირება. აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების უფლებამონაცვლეებს არ გააჩნიათ ქონების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი ეკონომიკის სამინისტროდან.

პროგრამა „უსაფრთხო სკოლა"

2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით „უსაფრთხო სკოლის" პროგრამის ფარგლებში გამოიყო 2,094.447 ათასი ლარი, რომლის მიხედვითაც სამინისტროს ცენტრალურ აპარატს უნდა განეხორციელებინა საჯარო სკოლებში სამეთვალყურეო აპარატურის შეძენა და მისი დამონტაჟება, თუმცა, აღნიშნული თანხა გადანაწილდა 304 საჯარო სკოლაზე, ისე რომ თითოეული საჯარო სკოლისათვის გამოყოფილი ვიდეო-კამერების რაოდენობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, მათი მინიმალური ტექნიკური მონაცემები და საორიენტაციო ღირებულება არ დადგენილა. საჯარო სკოლების მიერ აპარატურის შეძენა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

სკოლებს 3 სხვადასხვა მიმწოდებელთან აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც ადასტურებს ბაზარზე რამდენიმე კომპანიის არსებობას, რომლებმაც სკოლებს მიაწოდეს პროდუქტი. ტენდერის ჩატარება და პრეტენდენტთა შორის კონკურენციის არსებობა, გამოიწვევდა შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულების შემცირებას.

[4] საქართველოს პრეზიდენტის №70 ბრძანებულება, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი №15

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „იაკობ გოგებაშვილი“

პრეზიდენტის ნაციონალურ პროგრამას „იაკობ გოგებაშვილს“ ახორციელებს სსიპ „საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სკოლების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

2010 წელს პროგრამის ფარგლებში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გადარიცხულია 13,775.24 ათასი ლარი. 10,931,99 ათას ლარის დასრულებულ სამუშაოზე ჩატარდა ექსპერტიზა. იმის გამო, რომ საჯარო სკოლებთან დროულად ვერ მოხერხდა მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება, 2010 წლის ბოლოს დასრულებული სამუშაოები კვლავ ირიცხებოდა სსიპ-ის დაუმთავრებელი კაპიტალური დანახარჯების საბალანსო ანგარიშზე. აღნიშნულის შედეგად არ ხდება ცვეთის დარიცხვა ექსპლუატაციაში შესული ობიექტებზე, რაც იწვევს ფინანსური ანგარიშგების უზუსტობას აუდირებული პერიოდისთვის.

5. წმინდა ღირებულება

5.1 დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტიდან

ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება

2010 წლის განმავლობაში, საგანმანათლებლო პროგრამებისა და ამ პროგრამებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 500,694,138 ლარი, საიდანაც 343,092,081 ლარი გამოყენებული იქნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებისთვის.

საჯარო სკოლების დაფინანსება ხდება ყოველთვიურად, ვაუჩერული სისტემის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული თანხის გამოყოფას თითოეულ მოსწავლეზე. მოსწავლეთა სიების განახლება ხდება წელიწადში ორჯერ (აპრილი და ოქტომბერი), შესაბამისი რესურსცენტრების მიერ, რომელიც შემდგომ მუშავდება სამინისტროს სტატისტიკის დეპარტმანენტში. 2010 წელს ფინანსური აღრიცხვის დეპარტამენტი მოსწავლეთა სიებზე დაყრდნობით განსაზღვრავდა სკოლებისთვის მისაღები თანხის სრულ მოცულობას.

სკოლების მიერ სამინისტროსთვის არასრულყოფილი მონაცემების მიწოდების[5] გამო, ვერ ხდება ბაზაში მოცემული ყველა მოსაწავლის არსებობის დადასტურება.

არასრული მონაცემებისა და არასრულყოფილი სიების გამო, ვერ მოხერხდა აუდიტის სრული პროცედურის ჩატარება. პირველადი შემოწმების საფუძველზე გამოვლინდა, რომ არსებობს ერთი და იმავე მოსწავლის რამდენჯერმე დაფინანსების მაღალი რისკი, რაც გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზედმეტი თანხების ათვისებას.

უმაღლესი საგანმანათლო/კვლევითი პროგრამა

2010 წლის 26 აპრილს, მინისტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლო/კვლევითი პროგრამა დამტკიცდა და გაიწერა ორი ქვეპროგრამის ფარგლებში:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალის წახალისების ქვეპროგრამა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პირობებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ქვეპროგრამა.

პროგრამული დაფინანსება ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად, სადაც ღონისძიებების შერჩევა ხდებოდა ამ დაწესებულებების შეხედულებისამებრ.

[5] არ იყო მოცემული მოსწავლის სრული სახელი/გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები.

მთლიანი პროგრამის ფარგლებში გაიხარჯა 17,217.7 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტობრივად გაწეული საკასო ხარჯიდან 15,573,6 ათასი ლარი არსობრივად დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების (საგანმანათლებლო) ღონისძიებას წარმოადგენს.

რაც შეეხება უშუალოდ სამეცნიერო კვლევებს, როგორც პროგრამის ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებას, 16 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან განხორციელებული აქვს მხოლოდ 2 მათგანს (სსიპ "საქართთველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს" და სსიპ "იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს", საერთო თანხით 929,1 ათასი ლარი).

სამინისტროს არა აქვს შემუშავებული კრიტერიუმები და თანხების გამოყოფა ხდება წინა წლების მიახლოებითი პარამეტრების ფარგლებში, არაა შესწავლილი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო ფულადი რესურსების მინიმალური მოცულობა, რაც უზრუნველყოფდა თანხების სწორ, სამართლიან განაწილებას და რაციონალურად გამოყენებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (შენობების სარემონტო სამუშაოები, სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ლაბორატორიული მოწყობილობები, სამეცნიერო ლიტერატურა, საოფისე ინვენტარი და სხვ.) გაწეულია 2 688,0 ათასი ლარის ხარჯი, რომელზედაც მონიტორინგი არ განხორციელებულა.

პროგრამით არაა შემუშავებული, განსაზღვრული და არც ფაქტობრივად ხორციელდება საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების მონიტორინგი და კონტროლი.

5.2. გრანტები

განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებს, ბიუჯეტის კანონში დამტკიცების გარეშე, მიღებული აქვთ 22,642,800 ლარის გრანტი. სამინისტროსათვის უცნობია აღნიშნული გრანტების წარმომავლობა და, შესაბამისად, ვერ ახორციელებს ამ გრანტების ხარჯვის მიზნობრიობის მონიტორინგს.

5.3. სხვადასხვა ხარჯი

საჯარო სკოლების პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის დაზღვევა

აუდიტით დადგინდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაზღვეული საჯარო სკოლების პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის ნაწილი ასევე სარგებლობს უმწეოთა დაზღვევის პროგრამით. 2010 წელს, საშუალოდ 2,944 პედაგოგი და სკოლის ტექნიკური პერსონალი სარგებლობდა როგორც უმწეოთა, ასევე პედაგოგთა დაზღვევით, რომელთა სასარგებლოდ დაზღვეული საჯარო სკოლების პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პრემიის სახით გადარიცხულია 295,170 ათასი ლარი.

სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო სასწავლო ფონდი

სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" მიზანია სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დაფინანსება გრანტის სახით. 2010 წლის განმავლობაში გრანტის სახით გამოიყო 20,978.58 ათასი ლარი, ხოლო დებიტორული დავალიანება სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების მიმართ შეადგენს 10,794.97 ათას ლარს.

2010 წლის 1 აგვისტომდე საგრანტო თანხა ჩამოიწერებოდა მხოლოდ ურთიერთშედარების აქტის საფუძველზე, ხოლო პირველადი დოკუმენტაციის წარდგენა არ ხორციელდებოდა. სულ 2010 წლის 1 აგვისტომდე მხოლოდ ურთიერთშედარების აქტის საფუძველზე ჩამოიწერა 4,021.92 ათასი ლარის გრანტი, რომლის პირველადი დოკუმენტები არ მოიპოვება განმახორციელებელ სსიპ-ში. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ვერ დასტრუდება ჩამოწერილი თანხის სისრულე და სრული მოცულობა.

ფინანსური აუდიტისთვის შერჩეული იქნა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შემდეგი პროგრამები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

32 13 01 02 - სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო სასწავლო ფონდი;
32 04 - სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი;
32 06 - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი;
32 13 03 - სსიპ საქათველოს მეცნიერებათა აკადემია;
32 19 - სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური;
32 01- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
32 09 01 - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები;
32 12 02 - სახელმწიფო სასწავლო გრანტი;
32 09 02 - საჯარო სკოლებისა და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალის დაზღვევა;
32 12 01 - უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამები;
32 14 01 03 04 - პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა იაკობ გოგებაშვილი;
32 21 02 - განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი APL2 (WB);
32 11 - პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა;
32 14 05 02 - პროგრამა „ცოდნის კარი";
32 20 - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა;
32 14 01 03 03 - პროგრამა ჩემი პირველი კომპიუტერი;
32 14 13 - ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამა;
32 14 01 03 02 - პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „ირმის ნახტომი";
32 12 05 - სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი;
32 14 09 - პროგრამა უსაფრთხო სკოლა.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი უფლებამოსილია აუდიტის ანგარიში მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ.თბილისი წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №96.